F 296

წელიწადი მე-3 ტელეფონი №76. ხუთშაბათი 6 აპრილი 1917 წ.

სამშობლო

გაზეთის ფასი:
წლი-რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტ-სტრიქონს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამ ჭამომცხადებლისა, ნაშუადღევს 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 587 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 587

განცხადება.

გაზეთ სამშობლოსა და მუშათა საბჭოს შორის მომხდარი უთანხმოების გამო საქმის დაბოლავება ისე როგორც მოხდა ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ არ გაიზიარა და ამიტომ გაზეთს ჩამოშორდა. ამ პარტიის დაუხმარებლათ კი გაზეთი ვერ იარსებებს და ამიტომ რედაქცია იძულებულია გაზეთი სრულიად დახუროს, მაგრამ ვინაიდგან ხელის მომწერთა წინაშე რედაქციას მოვალეობა აქვს, ამიტომ მიაწოდებს მათ ახალ გაზეთს, რომელსაც აარსებს ხსენებული პარტია.

რედაქცია.

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

სიდინჯე!

ახალი მთავრობას განმტკიცება სჭირია. ყოველ მშვიდობიანობის დარღვევა, პარტიათა შორის გამწვავება ამ მიზნისთვის უაღრესად მავნეა. ამიტომ გთხოვთ ერიდოთ ყოველ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს.

იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეწევიან პროვოკაციას, ცილს სწამებენ პარტიებს და მოწინააღმდეგეებს სასურველია შეატყობინოთ, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან ისინი არიან შეგნებული, თუ შეუგნებელი, მტერნი რევოლიუციისა.

ქუთ. ეროვნულ დემოკრატიული პარტიის კომიტეტი.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათს 6 აპრილიდან ახალი გრანდიოზული პროგრამა: **ქრონიკა გომონი** მიმდინარე მოვლენები. **შავი იასი** კინო დრამა 3 დიდ ნაწილად, ცნობილ მსახიობ მანსონის მონაწილეობით. **ქალის მოძულე შრესი** კომიკური.
ანონსი: 10 აპრილისთვის, მოწინავე ესკადრონი—სანახავი. **ინსტიტუტკა** (როცა სისხლი სჩქეფს) მშვენიერი პიესა 5 ნაწილად. ინსტიტუტკის მთავარ როლს ასრულებს ცნობილი, დაჯილდოებული ლამაზი ქალი ფრანჩესკა ბერტინი.

ელექტრო ამპირ თეატრი

ხუთშაბათს 6 აპრილიდან საუცხოვო პროგრამა: დასვენება ლამაზ მდინარის ნაპირას, ფერადებიანი სანახავი. **ცხოვრების ფერხულში** დრამა 3 დიდ ნაწილად პერესტიანისა, ბოსევსკის ასულისა და ბრიძინსკის მონაწილეობით. კარატუზი—ჯადოქარი, კომიკური.
ანონსი: 10 აპრილისთვის: ქრონიკა გომონ—მიმდინარე მოვლენები. **პირველი და უკანასკნელი კოცნა** მხატვრული დრამა 5 ნაწილად ანდრე გაბეს-სა და მატილდა სიმარციოს მონაწილეობით სარრა ბერნარის თეატრიდან.

სავაჭრო სახლი
„ი. გოკიელოვის შ-ვი"
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ მიღებულია აბრეშუმის თესლი
კონსტანტინიდის ფირმის
შემოწმებული საბრეშუმო სადგურში, ვისაც სურს თესლის შეძენა ვსთხოვთ ნუ დააგვიანებენ წაღებას, რადგანაც თესლი ცოტა არის მიღებული.
1—4.

განცხადება.
ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის
საპონის „სოდა",
აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.
ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ

პასუხი გაზეთ „ერთობას".

გაზ. „ერთობის" №-15-ში ვკითხულობთ:

„ქუთაისში გამოდის ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი „სამშობლო". ამ გაზეთში არაერთხელ დაიბეჭდა კონტრრევოლიუციონური შინაარსის წერილები. ქუთაისის მუშათა დეპუტატების საბჭო იძულებული შეიქნა გაზეთი დროებით შეეჩერებია. ახლა „სამშობლოს" რედაქცია თვითონვე აღიარებს, რომ მან თავისი გაზეთის ფურცლებზე მოათავსა ყოვლად შეუფერებელი წერილი...

ამის შემდეგ რედაქციას ნება მიეცა გაზეთი გამოსცეს.

რევოლიუციონური ხალხი არა თუ სჯის, ის მოწყალებასაც იღებს (Sic!)".

ახლა ჩემიც მოისმინეთ, „ერთობის" მესვეურნო!

ჯერ ერთი, როდესაც მოდავე ორი დავას შერიგებით დააბოლოებს, შემდეგ ამის შესახებ აღარცერთმა მხარემ ხმა აღარ უნდა ამოიღოს. ამას მოითხოვს, როგორც ზნეობრივი, აგრეთვე სამოქალაქო წესი და მართებულება.

ხსენებული უხიამოვნო ამბავი მეტად შეურაცხმყოფდა, მაგრამ დავემორჩილე საყოველთაო წესსა და ენა დავიდუმე.

მაგრამ ჯერ ქუთაისის გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა" (30 მარტ.) და შემდეგ „ერთობამ" კვლავ გამართეს ლაპარაკი იმის შესახებ, რასაც აღარცერთი მხარე აღარ უნდა შეხებოდა და დავეწამეს ცილი.

ამიტომ ნება მეძლევა ცილისწამება და ბრალდება უკანვე დავუბრუნო ცილისმწამებელთა და ბრალმდებელთ და ყველაფერი დაწვრილებით გამოვამზეურო. შერიგება ჩემმა მოპირდაპირეებმა დაარღვიეს და ნურაფერს უკაცრავად, თუ ისეთს რასმე ვიტყვი, რაც მათ სასიამოვნოდ არ დაურჩებათ.

პირველად უნდა ვთქვა, რომ, როდესაც „Titus"-ის წერილი დაიბეჭდა, რედაქტორად მე არა ვყოფილვარ.

მეორე, როგორც მუშათა საბჭომ, აგრეთვე ბ. გეგეჭკორმა გაზეთის გამოსვლისათანავე გაიგეს, რომ „Titus"-ის წერილს რედაქტორის ხელში არ გაუვლია.

მესამე, სარედაქციო კოლლეგიამ და „სამშობლოს" მიმართულების თანამგრძნობთ შეუფერებლად სცნეს „Titus"-ის წერილის ზოგიერთი ადგილი და ამის შესახებ კიდევაც აცნობეს ბ. გეგეჭკორს.

მესამე, ბ-ნმა „ტიტუს"-მა პირადად მე სამართლიანი გულისწყრომა გამომიცხადა: ჩემთვის რომ გეცნობებიათ, მე დავუმტკიცებდი ბ. გეგეჭკორსა და მის ამხანაგებს, რომ ჩემი წერილი სრულიადაც არ შეიცავს იმას, რაც მათ ამოიკითხესო. ეს გულისწყრომა მით არის სამართლიანი, რომ, როდესაც ვისმე ასამართლებ, მოვალე ხარ კიდევაც მოუსმინო.

მახსოვს, ერთხელ ქუთაისის პატივცემულ საზოგადო მოღვაწეებს შევეხე და მათ ჩემს წერილში ის დაინახეს, რაც არც მიფიქრია და არცა მქონია გულში. ეს კი იყო: მკითხველს შეეძლო ისე გაეგო ჩემი სიტყვები, როგორც ხსენებულმა პატივცემულმა პირებმა გაიგეს.

„ტიტუს"-ის წერილშიაც სწორეთ ასეთივე უხერხული გამოთქმა იყო. დარწმუნებული ვარ, რომ „ტიტუს"-ი არაოდეს არ იკადრებდა განზრახ შეურაცხეყო მოპირდაპირე პარტიის ბელადები! და, ამ ინცინდენტის გარჩევა რომ სამედიატორო სასამართლოსთვის მიენდოთ, უეჭველია, საქმე იმით დაბოლოვდებოდა, რომ „ტიტუს"-ი გულწრფელად განაცხადებდა, ჩემს დღეში არ მიფიქრია და არცა მქონია გულში ის, რაც, შეიძლება, ვინმე ამოიკითხა ჩემი წერილის უხერხულად გამოთქმულ სიტყვებშიო. მორჩებოდა და გათავდებოდა!

მაგრამ რა ქნა ქუთაისის მუშათა საბჭომ? მან გაფიცა ასოთ-ამწყობები ისე, რომ რედაქციას ამის შესახებ არაფერი არ შეატყობინა, ვფიქრობ კი, რომ ვიდრე ამას ჩაიდენდა, საქმის მდგომარეობა მაინც უნდა შეეტყო.

როგორც კი გაზეთის აწყობის შეჩერების ამბავი გავიგე, იმ წამსვე მივედი მუშათა საბჭოში, რომელსაც ყველაფერი განვუმარტე და მოვსთხოვე გაფიცვის მოხსნა. მაგრამ ცივი უარი მივიღე. მე იქვე განვაცხადე პროტესტი და გავედი გარეთ.

მეორე დღეს მოხდა მოლაპარაკება მუშათა საბჭოს წარმომადგენელთა და სარედაქციო კოლლეგიას შორის. მუშათა საბჭომ წარმოადგინა წინასწარ შედგენილი ბოდიშის ტექსტი, რომელიც მეტად დამამცირებელი იყო სარედაქციო კოლლეგიის თავმოყვარეობისათვის.

სამწუხაროდ, არა მცალოდა სამსახურის გამო და ბოდიშის ტექსტი არ განმიხილავს. ის კი მოვახსენე დელეგატებს, რომ, თუ კი ნებას აძლევთ თქვენს თავს, გაზეთი დახუროთ და მოქალაქეს სამოქალაქო უფლებანი ახადოთ, თქვენ მთავრობა ყოფილხართ. მაგრამ, თუ მთავრობა ხართ, რა უფლებით შეგიძლიათ შეაჩეროთ ბეჭდვის თავისუფლება თუნდ ერთი საათით?! ეს ხომ რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებათა უარყოფაა? თუ გაზეთში რომელიმე წერილი კონტრრევოლიუციონურად მოგეჩვენათ, შეგიძლიათ ავტორს ან რედაქტორს მოსთხოვოთ პასუხი. გაზეთის შეჩერების უფლება კი არა გაქვსთ. და რედაქცია „ტიტუს"-ის წერილის უხერხული გამოთქმის გამო მხოლოდ იმ პირობით მოიხდის ბოდიშს, თუ მაგიერად მუშათა საბჭოც მოიხდის ბოდიშს გაზეთის შეჩერების გამო და აღთქვამს, რომ შემდეგ ასეთს საქციელს აღარ ჩაიდენს.

ეს ვთქვი და წავედი. ჩემი ამხანაგები დარჩნენ და, მართალი მოგახსენოთ, დღემდის ვერ გამოვარკვიე მოლაპარაკების შედეგი. ერთმა ამხანაგმა მომიტანა ბოდიშის ტექსტი, ვითომ სარედაქციო კოლლეგიის უმეტესობის მიერ შეწყნარებული, და მოვაწერე ხელი, თუმც შეურაცხმყოფელად მომეჩვენა იგი.

რაც შეეხება იმ ბრალდებას, ვითომ „სამშობლოში" კონტრ-რევოლიუციონური წერილები იბეჭდებოდა, დამისახელონ, როდის და რომელი. მე კი დავასახელებ: წაიკითხეთ „ერთობის" № 2-ში წერილი კიტა აბაშიძის, ფედერალისტების, ეროვნული დემოკრატებისა და ქართველი ოფიცრების შესახებ და, თუ არ დაიჯერებთ, რომ ის წერილი კონტრ-რევოლიუციონურია, მიანდევით მისი განხილვა უცხო სოციალისტებისა და დემოკრატებისაგან შემდგარ სამედიატორო სასამართლოს: მაშინ გამოჩნდება, ვინ აწარმოებს კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკასა და ვინ არა.

დასასრულ, გეკითხებით: „სამშობლოს" შეჩერება, რომელიც ყველა თავის წერილში რევოლიუციის გამარჯვებას ულოცავს და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას ქადაგებს, კონტრ-რევოლიუციონური აქტი არ არის?!

რაც შეეხება თქვენს „მოწყალებას", როგორ გგონიათ? სიტყვის თავისუფლება მოწყალებაა თუ სამოქალაქო უფლება? ვაი სირცხვილო!..

ვასილ წერეთელი.

რუსული პრესა.

„პეტროგრადსკია ვედომოსტ"-ში ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ შემდეგი სწერია:

„გუშინ (27 მარტს საღამოს ძლიერ გვიან შევვატყობინეს, რომ დროებითმა მთავრობამ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალურ წესწყობილების აღდგენა შეიწყნარაო.

გულ-წრფელ სალამს ვუძღვნით ჩვენს მეგობარ ქართველებს და მიულოცავთ მშობლიურ ეკლესიის კანონიური წყობილების აღდგენას.

წელთა ორ ათეულის განმავლობაში „პეტრ. ვედ" დაჟინებით მიუთითებდა მმართველ წრეებსა და რუსის საზოგადოებებს ივერიის ეკლესიის კანონიური უფლებათა დამცირების შეუწყნარებლობას.

ეხლახან გარდასულ, წყვდიადით მოსილ ეპოქის ჟამსაც კი აღიმაღლებდა „პეტრ. ვედ. თავის ხმას და აღიარებდა ქართველ ხალხის ბუნებრივ უფლებას, ილოცოს თავის ტაძრებში მშობლიურ ენაზე.

ჩვენი დიდი ხნის თანამშრომელია, კანონიური სამართლის ღრმა მცოდნე, ნ. ნ. დურნოვო, დაუღალავად ებრძოდა უმართებულესს" და მისს ბატონს-ობერ-პროკურორს ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობის დასაცავად.

„პეტრ. ვედ" ფურცლებზე ათავსებდნენ თავისს წერილებს ივერიის ეკლესიის სასარგებლოდ ქართულ ისტორიულ მეცნიერების მხცოვანი წარმომადგენელი პროფ. ა. ცაგარელი, ე. კ. (გამოჩენილი ქართველი იერარქი, რომელიც მრავალ წელთა განმავლობაში დევნას განიცდიდა), ამბერი (ფსევდონიმი საქართველოდგან ნოვგოროდის გუბ. გადასახლებულ განსწავლულ ბერისა), ძველი ავტოკეფალისტი, მამა ი, ჩიჯავაძე, ნატროშვილი, მანავსკი და სხვა.

როგორც გადმოგვცემენ, ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს სამინისტროში დიდი შეხლა-შემოხლა გამოუწვევია, რის დაძლევა ობერ-პროკურორის ვ. ნ. ლვოვის სიმტკიცეს უნდა მიეწეროს.

დარჩა რამდენიმე უსწორმასწორი ადგილი, მაგრამ საფიქრალია რომ ყოველივე მალე გასწორდება. სალამს ვუძღვნით საქართველოს, რუსეთის ცხოვრების გაზაფხულის პირველ მერცხალთან ერთად, თავისუფალი რუსეთი მრავალტანჯულ საქართველოს ღრმა ჭრილობებს დაუამებს და დაამშვიდებს ჭრილობა მას ბევრი აქვს. ერთისაგან საქართველო განიკურნა. მალე სხვა ჭრილობებიც გაქრება და საქართველოც აღსდგება ახალი, თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებისთვის ძლიერი ისტორიულ ტერიტორიის ფარგლებში პოლიტიკური სულით.

ომი თუ ზავი.

ახალ რუსეთს მიმდინარე ომის შესახებ ჯერ არ უთქვამს თავის ვეტო. ომი დაიწყო მონარქიულმა მთავრობამ და ორ წლინახევრის განმავლობაში ცალმხრივაც ვერ გამოირკვა თუ რისთვის იბრძოდა რუსეთი.

დღეს კი როდესაც მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, ამიტომ საიდუმლოების ფარდა ახდილი უნდა იქმნას და საერთოდ თქმული, თუ როგორ პოლიტიკას აწარმოებს განახლებული რუსეთი ამ ჟამად, ემსახურება იგი დაპყრობითი მიზნებს, კონტრიბუციებს, თუ მხოლოდ თავდაცვითი გზას ადგება.

ომის წარმოებაში რუსეთი უკიდურესად მოიღალა, ასე რომ დღეს რუსეთის მცხოვრებს ომის სახელის მოსმენაც კი საშინელების ჟრუანტელს ჰგვრის, მაგრამ როგორც ცნობილია, ომის და ზავის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხის გადაჭრა მცხოვრებთა სურვილზე არ იყო აქამდი დამოკიდებული. დღეს რადგან სულ სხვა პირობები შეიქმნა და უფლება აყრილმა ხალხმა მოქალაქობა მოიპოვა. თქმა არ უნდა მის გულისთქმასაც ანგარიში გაეწევა.

საყურადღებოა თუ როგორ განაჩენს გამოიტანს დროებითი მთავრობა. ჩვენ ვიცით, რომ ამ ჟამად საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილზე მყოფი მილიუკოვი დარდანელის და ცარგრადის დასაკუთრებას ქადაგებდა, ვიცით, ისიც, რომ როძიანკო, თ-დი ლვოვი და სხვანი, ომის საბოლაო გამარჯვებით დამთავრებას მოითხოვენ.

ამავე დროს გაზეთები სწერენ, რომ ზოგიერთი მუშათა ორგანიზაციები პირდაპირ ილაშქრებენ ომის წინაღმდეგ და საჩქაროდ ზავს მოითხოვენო. ამრიგად ომის განგრძობის საკითხში ორ მიმდინარეობას ჩვენ უკვე ვხედავთ. თუ რომელი მიმდინარეობას დარჩება ლელო გამარჯვებისა ეს ახლო მომავლის საქმეა, მაგრამ წინასწარ შეიძლება თქმა იმისა, რომ მეორე მიმდინარეობას მთლად თუ არა ბევრში მხარს დაუჭერს დროებითი მთავრობის ერთი ნაწილი. საგულისხმოა რა მნიშვნელობა აქვს სიტყვა „თავდაცვა“-ს. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ დაკარგული ადგილების დაბრუნების აუცილებლობა, რასაც ხანგრძლივი სისხლის ღვრა დასჭირდებოდა. ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა გვქონდეს, რომ ახალი მთავრობის ორივე ნაწილი მალე იტყვის თავის გადამწყვეტს სიტყვას წარმოებულ ომის მიზნებზე. აღსანიშნავია, ის მოვლენაც, რომ ომის წარმოებისთვის მეტად არა სასურველი ნიადაგი მომზადდა... საბრძოლ მასალის დასამზადებლად ისეთი ინტენსიური მუშაობა აღარ წარმოებს, როგორც წინად, გარდა ამისა, რომ ქარხნებს ეს ერთი თვეა სრულებით არ უმუშავნიათ. გვარდიის ჯარის ერთ-ერთ, სათადარიგო პოლკი პუტილოვის ქარხნებში შეჭრილა და მუშებისთვის 8 საათზე მეტი მუშაობა მოუთხოვია, და თანაც დამუქრებია, თუ ძმურად გამოწვდილ ხელს და თხოვნას არ მიიღებთ იმ შემთხვევაში მეორეთ თქვენთან სულ სხვა განწყობილებით მოვალთო“ ამას უნდა დაემატოს აურაცხელი დეზერტირობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს და სტოხოდის დამარცხება. სტოხოდის კატასტროფა საიდუმლოებით არის მოცული. ამ ასპარეზზე ორივე მოპირდაპირე თანასწორ ძალას წარმოადგენდენ. მაგრამ რუსის სარდლობას მოულოდნელად უმტყუნა ბედმა და 25 ათასამდე კაცი და დიდძალი სამხედრო მასალა დაეღუპა.

ყველა ამის არსებითი მიზეზი რა იყო ჯერ გამორკვეული არ არის... განყენებულად, თუ ვიმსჯელებთ შეიძლება იმის თქმა, რომ სტოხოდის უბედურება მოახდინა იმ გულის აცრუებამ გულის გატეხაში რომელიც ამ ჟამად ჯარში შეიჭრა. ასე, თუ ისე ომის საწარმოებლად რუსეთში დღეს ის ნიადაგი აღარ არის, რაც 914 წ. იყო, მაშინ აღტაცებული მუა ხნის ახალგაზრდა ერთის თავდადებით მიეჩქარებოდა ბრძოლის ველზე... როგორც გაზეთები გვაუწყებენ დღეს თითქმის სამი წლის მწარე განცდის შემდეგ იქიდან გამორბის. ზავის ჩამოგდების აუცილებლობას თვითონ მდგომარეობა ქმნის. ვნახოთ, როგორის ზომით შეხვდება ხსენებულ მდგომარეობას ახალი რუსეთის დროებითი მთავრობა.

ჯიბ.

ახალი მთავრობა

ცრუ ხმების უარყოფა..

თბილისი. ამიერ-კავკასიის მხარის საკითხთა გადამწყვეტ კომიტეტთან არსებულ თათბირის წევრებმა დეპეშები გაუგზავნეს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოს, თავად ლვოვს, კერენსკის და ჩხეიძეს. დეპეშაში ნათქვამია: ჩვენდა სამწუხაროდ ხალხის დიადი სულიერი აღტყინება იჩრდილება. ბოროტი მოსაზრებით გაზეთებში, არ ვიცით კი ვისგან, მოთავსებულია სიმართლეს შეუფერებელი ცნობები ხალხის მოძრაობისა და ეროვნებათა შორის გამწვავებულ დამოკიდებულების შესახებ. ამ ცნობების მიხედვით საქმის ვითარება თითქო თხოულობს მთავრობის მოადგილის დანიშვნას და სამხედრო ძალის დახმარებას. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერი მუსულმან სომეხი და ქართველი წევრები თათბირისა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის მოწვევისამებრ ვალად ვრაცხთ დავადასტუროთ, რომ კავკასიაში სრული სიწყნარეა დაცული. ბნელ ძალთა მიერ არეულობის მოსახდენად გავრცელებული ცრუ ხმები ვერ დაარღვევენ საურთიერთო ნდობათა და თანხმობას, რომელიც დამყარებულია დიდი რუსეთის სახალხო თავისუფლების გასამარჯვებლად.

ახალი სამხედრო მინისტრი.

სტოკჰოლმი. 31 მარტს. ვენიდან იტყობინებიან ავსტრია-უნგრეთის სამხედრო მინისტრად შტ. ვერ ტეინერი დანიშნესო.

შეერთებული შტატების დახმარება.

ნიუიორკი 31 მარტი. ვაშინგტონში შეერთებულ შტატებისა და შეთანხმების სახელმწიფოების საერთო მუშაობის განზრახულ განხილვის პროგრამა სრულდება. საკითხები განაწილებულია: 1) 3 მილიარდ დოლარის სესხი მოკავშირეთათვის 2) სანოვაგის და სამხედრო ნივთების ამერიკაში დამზადების ნებართვა 3) სატრანსპორტო საშუალებათა უზრუნველყოფა ევროპაში საჭირო რამეების გადასატანად 4) ფლოტის საერო მუშაობა გერმანელთა წყალქვეშებთან საბრძოლველად. 5) საკითხი ამერიკის საექსპედიციო ჯარის ევროპაში გადაგზავნის შესახებ.

გემის დაღუპვა.

ლონდონი. 31 მარტს. 18 მარტს ღამით გაფრთხილების მიუცემლად გერმანელებმა დაღუპეს ლამანშის წყლებში ბრიტანეთის საგოსპიტლო გემი. დაჭრილები დაიღუპნენ. საადმირალო იტყობინება: საგოსპიტლო გემი „სალტა“ ლამანში ნაღმს დაეჯახა. დაიღუპა სულ 52 კაცი. მათგან 5 ექიმი და მოწყალების და.

ამერიკელთა დამოკიდებულება რუსეთთან.

ნიუიორკი. 31 მარტს. ცნობილ ამერიკელ ბანკირმა შიფრმა რუსეთის მთავრობის საფინანსო დელეგატის შარსკის მიღების დროს სთქვა: მე მჯონია, შტატები სესხს რუსეთისთვისაც გაიღებენო. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ დროებით მთავრობას და ხელი შევუწყოთ მისი ჯარის სტრატეგიულ მდგომარეობას. მწამს, რომ რუსეთს ახალი ხანა უდგება. ბუნებრივი, დაუფასებელი სიმდიდრე მას ნებას მისცემს პირველი ადგილი დაიკავოს ეკონომიურად განვითარებულს სახელმწიფოთა შორის. რუსეთისა და ამერიკის საფინანსო კავშირი ორივე მხარისათვის ხელსაყრელია. რუსეთი უცხო კაპიტალს საჭიროებს მრეწველობის გასავითარებლად, ისე როგორც საჭიროებდა ამერიკა სამოქალაქო ომის შემდეგ. მივესალმები ახალ რუსეთს მჯერა რომ მისი შვენიერი მომავალი მალე შესაძლებელი გახდებაო.

ტუსაღები მიმართავენ მინისტრ კერენსკის.

[illegible]. 3 აპრილი სისხლის სამართალი მიცემულნი ტუსაღები თხოვნით მიმართვენ იუსტიციის მინისტრს კერენსკის რათა მათ შეუმსუბუქონ სასჯელი, და გამოსთქვამენ, რომ პატიოსანი გზით ვემსახურებით სამშობლოსო.

კურიპატკინის დეპეში თ-დ ლვოვთან და გუჩკოვთან.

ტაშკენტი. 31 მარტი. კუროპატკინმა დეპეში გაუგზავნა მინისტრთა თავმჯდომარეს თ-დ ლვოვსა და სამხედრო მინისტრს გუჩკოვს, რომლითაც აღნიშნავს თურქესტანში სამოქალაქო მთავრობის გაჩენის აუცილებლობას.

კურიპატკინი იტყობინებს მათ აგრეთვე, რომ აუცილებელია დაინიშნოს ცალკე სარდალი ჯარისა და კომისარი დროებითი მთავრობის მიერ გენერალ-გუბერნატორის ვალდებულებათა აღმასრულებლად. თვითონ კი სთვლის გაგზავნილ იქნას ბრძოლის ველზე გრენადერის კორპუსის სარდლათ.

დატუსაღება.

ტაშკენტი. 31 მარტი. სალდათთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებას შეუერთდენ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი და მუშათ-საბჭო და დაადგინეს დაატუსაღონ და ციხეში ჩასვან ტაშკენტის გენ. გუბერნატორი კუროპატკინი, მისი თანაშემწე ეროფეევი, შტაბის უფროსი სივერი, სიბირის პირველი ბრიგადის უფროსი გენ. ბიურო და ადგილობრივ ბრიგადის უფროსი გენერ. ცურმილენი. მათ ბრალსა სდებენ იმაში, რომ იარაღი დაურიგეს რუს მცხოვრებლებს არა რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც პროვოკაციით უნდა ჩაითვალოსო დელეგატებმა თავისუფალ ყაზახთა ასეულისამ რომელიც იცვლებოდა კუროპატკინი და მცველი რაზმი მოხსნილ იქნან და სახელიც გამოუცვალონ.

ქალ. მოურავად დაინიშნა მსხვილი მრეწველი ივანოვი. დროებით ჯარების სარდლათ დაინიშნა ქალ. ტაშკენტის კომენდატი ჩერვე. სამოქალაქო მმართველობით დროებით მონდობილი აქვთ აღმასრულებელ კომ. წ. (ერთ: ბელიაკოვს), დობკევიჩსა და ივანოვს.

ახალ მთავრობის მოწოდება.

პეტროგრადი 30 მარტი. ვერავი მტერი ემუქრება რუსეთის თავისუფლებას. რუსეთის ყველა მოქალაქე ვალდებულია ხელი შეგვიწყოს მტრის წინააღმდეგ მოქმედებაში, ხელი შეუწყვეთ რუსეთის მხედრობას ტყვია წამლის, პურის და სხვა აუცილებელი საჭირო საგანთა მიწვდით. მოქალაქენო განსაკუთრებით, რომელნიც სცხოვრობთ ბრძოლის ასპარეზთან ახლო ზიდეთ შეშა რკინის გზებისათვის. ნუ მიატოვებთ უკვე დაწყებულ საქმეს. მოემზადენით უფრო ენერგიულათ, დახმარება აღმოუჩინოთ ჩვენს ძლიერს ლაშქარს. შიგნით რუსეთში მცხოვრებლებზე არის დამოკიდებული ჩვენი მხედრობის მამაცად მოქმედება და საბოლაოდ გამარჯვება.

მინისტრთა დაბრუნება.

პეტროგრადი 31 მარტი დღეს ბანაკიდან დაბრუნდენ მინისტრთა თავმჯდომარე თ-დი ლვოვი, საგარეო, საქმეთა მინისტრი მილიუკოვი, გზათა მინისტრი ნეკრასოვი მიწად-მოქმედების მინისტრი შინგარიევი მათი წასვლის მიზანი იყო სასურსათო საკითხების გადაჭრა.

პეტროგრადი 31 მარტი. დროებითმა მთავრობამ მოიწონა სამხედრო მინისტრის წინადადება ჯარში გასაწვევთ თვის ვადის მიცემის წესის შეცვლის შესახებ. აუცილებელ საჭიროებათ მიღებულია ვადის მიცემის საქმეები საზოგადოებრივ ძალთა და კერძოთ მშრომელი ელემენტის მონაწილეობა. ამისათვის აზრად აქვთ შრომის წარმომადგენლების მოწვევა დაწესებულებათ და წარმოებათ შუამდგომლობათა გასარჩევად, მთავარ კომიტეტთან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წევრებს რიცხვის გადიდება კომიტეტისთვის ადგილობრივ კომიტეტთა შემადგენლობის შეცვლის განხილვის ნების მიცემა, დასასრულ მთავრობის დაწესებულებებში მოსამსახურეთა ვადის მიცემის შუამდგომლობა უნდა განხილულ იქნეს კომიტეტში და არ მიეცეთ მათ ვადა [illegible]

„ქრისტე აღსდგა“.

ბ-ნო რედაქტორო, პატივცემულ თქვენი გაზეთის საშუალებით, ჩვენ, მსროლელთა პოლკის, მზვერავთა რაზმში მოსამსახურე ქართველი ჯარისკაცები, ციხე ოსმალეთის მწვერვალოებიდან, ვულოცავთ—„ქრისტეს აღდგომას“ ნათესავთა და ვაცნობთ და ვუსურვებთ სამშობლო მხარეს, თავისუფალ რუსეთში, საკუთარ-თვითმართველობას ერის ბრწყინვალე აყვავებისათვის.

ტარ. მხეიძე ალ. ჩიკოიძე, ნიკო ბროლაშვილი, გამ. პეტრაკაძე, ვან. ლოლუა, ვან. უსტიაშვილი, ვასო გოგოლაძე ნიკ. თამარაშვილი, ნიკ. ხვედიაშვილი, ტიმ. ჯარიაშვილი, დიმ. მდევაძე-ცხადაძე და დიმ. დეკანოსიძე.

მონდობილობით იოლა. ოსმალეთის ფრონტი.

პატივისცემით **პრაპ. ი. მაისურაძე.**

ბრძოლის ველი.

სალამი სამშობლოს.

ჩვენ თბილისის სამხედრო სასწავლებლის იუნკრები გულწრფელ სალამს უძღვნით ჯვარცმულ საქართველოს. გვწამს, რომ წრევანდელი ქრისტეს აღდგომა ფეხქვეშ გათელილ ქართველი ერის აღდგომაც იქნება. განახლებულმა რუსეთმა ჩვენ მრავალ ტანჯულ ძმად შეფიცულ ქვეყანას უნდა მიანიჭოს ტერიტორიალური ავტონომია. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში. ამხანაგთა მონდობილობით იუნკერი აკაკი ნესტ. ნოდია.

ახალი ამბავი

დაბა ზესტაფონში შეიპყრეს პროვოკატორი სომეხი, რომელიც ნოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი და რუსთა შორის ავრცელებდა ხმებს, ვითომ ქართველებს სურდეთ რუსების განდევნა საქართველოდან და მათი დახოცვა.

◆ **მოსკოვში** უნივერსიტეტის პროფესორთა და უმცროს მასწავლებელთა თათბირი. დადგენილია მოქმედების განვითარება პოლიტიკურ ფურცლების და წიგნაკების გამოსაცემად (პირველ რიგში ფრონტისათვის) და ამისათვის შეძლების და გვარად უნივერსიტეტის ყველა გონებრივ ძალთა გამოყენება. დადგენილია წიგნაკების გამოცემა აგრეთვე ქართულსა, თათრულსა, სომხურსა და სხვა ენებზე ამ ერთა წარმომადგენელთა დახმარებით.

◆ **შაბათს,** 1 აპრილს საღამოს 6 საათზე ჩვენ. თანამშრომლის ცნობილ მწერალის ია ეკალაძის ბინაზე მის შინ არ ყოფნის დროს მისულა ორი რუსი ჯარის კაცი და შესავალში დამხვდარან. როდესაც დიასახლისს უკითხავს რა გნებავთო, მათ უპასუხნიათ: არაფერი, არ შეიძლება განა სახლში შემოსვლაო? მასპინძელს შეუთავაზებია პასკა და ხილი. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჯარის კაცები წასულან და ნობათ, თან წაუღიათ.

◆ **სახალხო** უნივერსიტეტის ლექტორი 7—8 აპრილს ქ. გორში და დ. ხაშურში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე მოუტანა თუ არა რაიმე ნაყოფი ფინლანდიის პოლიტიკურმა ავტონომიამ ლექცია გაიმართება მუსიკალური დემონსტრაციით, სიმეიანი კვარტეტი დაუკრავს ფინურ ჰანგებს: ლექციის წინ შესრულებულ იქნება მარსელიოზი.

◆ მიწის მზომელი და მიწის მომწყობი ვ. ს. ასათიანი იწვევს დღეს საღამოს 8 საათზე სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში ქუთათურ ტეხნიკოს სპეციალისტებს განზრახულ ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა კავშირის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლათ.

◆ **რედაქციამ** მიიღო ჟურნ. „თავისუფლების“ მეორე ნომერი.

◆ 4 აპრილს ფანცხავას ეზოში აბზიანიძის, ქვიტირისა, და მესამე ალექსანდრეს ქუჩის მცხოვრებთა კრება მოხდა. კრების დანიშნულება იყო ათისთავების ამორჩევა მზგავსათ 1905 წლ. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო და მასთან ბევრი შეზარხოშებულიც იყო. კრებაზე მოეწვიათ სერგო რობაქიძე. რამდენიმე ვაჟბატონმა ამ კრებას მისცა ვიწრო პარტიული ხასიათი. სია ამოსარჩევ პირთა თვითონ შეადგინათ სიაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ თავის პარტიის ხალხი, ბევრი უპარტიო და სხვა პარტიის პირები უფრო შეგნებული და მშრომელიც სიაში არ შეეტანათ. მოთავეები ბოროტად სარგებლობდენ ხალხის მცირერიცხოვანობით.

დასაგმობია საქციელი იმ „ინტელიგენტ პირების“ რომელნიც ვიწრო პარტიულ ქინიანობით ხელმძღვანელობდენ და საქმის წარმატება კი სრულებით არ აინტერესებდათ. დროა მოვიშოროთ აზიური ქინიანობა და ყოველ საქმეში ადგილი მივცეთ ისეთ პირებს, რომელნიც საქმეს წარმატებენ და არა პარტიულად ქინიანობას დაიწყებენ.

◆ **ქართ. კათოლიკეთა შორის.** 4 მარტს საღამოთი მოხდა კრება ქართველ კათოლიკეთა რომელმაც ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს რომის პაპის წინაშე, რათა შემოღებულ იქმნას ქართული ტიპიკონი. ამ საქმის მოსაგვარებლად კრებამ აირჩია საჭირო პირები.

◆ **ლონდონში** მყოფი ქართველები: ვარ. ჩერქეზიშვილი, დ. ღამბაშიძე, გ. ხიზანიშვილი, ვ. გუგუშვილი ქ. მალამბერიძე და ქორიაშვილი, სამშობლოში ვერ წამოვლენ, რადგან გერმანელთა წყალქვეშა ნავების თარეშის გამო, ზღვით მოგზაურობა მეტად საშიში ყოფილა.

კადეტთა პარტიის ყრილობა.

ყრილობაზე თავმჯდომარე ვინავერმა მოუწოდა პარტიას, რომ ერიდონ ზომიერ ელემენტთა შორის განხეთქილებას და მათ გაღიზიანებას. არსებულ მმართველობის სიმტკიცის დაცვა შინ არჩუნება სრულიადაც არ შეუძლიან სამხედრო-პროლეტართა ორგანიზაციებს. დიდია ღვაწლი მუშათა კლასისა, რევოლიუციურ დღეებში მაგრამ სამწუხაროდ დღეს მან გადასჯარბა, საზღვარს გასცილდა, რაც მეტად მრავალ მთავრობიანობის წარმოშობა, რაც ქვეყანას დაღუპვით ემუქრება. შემდეგ ყრილობაზე მოვიდა მილიუკოვი რომელსაც მიესალმა თ-დი ტრუბეცკოი, მილიუკოვმა სთქვა: „მთელი ქვეყანა უერთდება ჩვენ ომის შესახებ რეზოლიუციას. ყველას ეინტერესება, თუ როგორ იქნება განწყობილი კ-ტთა პარტია ომისადმი, ჩვენსკენ იყო მიმართული ყველას თვალი ჩვენგან მოელოდენ ბრძნულ დადგენილებას რაც თქვენ უკვე გამოიტანეთ. დასასრულ [illegible] დაახასიათა მემარცხენე პარტიებ[illegible]

ზოგიერთი რუსული სოციალისტური გაზეთებს აზრი დროებით მთავრობის შესახებ.

მოსკოვის სოციალ დემოკრატების მენშევიკების კრებას დაუდგენია მხარი დაუჭიროს დროებითს მთავრობას და ამ მიმართულების ორგანო „ვპერიოდი“ დაწვრილებით ასაბუთებს ამ დადგენილებას. გაზეთი, აღნიშნავს რა რუსეთში გარდასაწყვეტ საკითხების სიძნელესა და სირთულეს და ერთსულოვან კოლექტიურ მუშაობის საჭიროებას, სვამს საკითხს:

„ვინ უნდა იკისროს, ვის შეუძლია ცხოვრების განმტკიცების და შენების მუშაობის ხელმძღვანელობა გაუწიოს“ პასუხი სადა და ნათელია:

„დროებითი მთავრობა,—აი ვინ არი, რუსეთში განახლებისა და დამფუძნებელ კრებისათვის მოსამზადებლად პროცესის ხელმძღვანელი ამ დროებითს მთავრობას უწევს მენშევიკური სოციალ-დემოკრატია შეძლებისდაგვარ დახმარებას. ამ მთავრობას აღიარებს იგი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად“

გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს დროებითი მთავრობა ბურჟუაზიულია და რომ სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია ამას უპირობოთ დაუჭიროს მხარი.

„მაგრამ სოციალ-დემოკრატიამ, სცნორა სავსებით რუსეთის გარდაქმნის მორიგი საკითხების ისტორიული და ნაციონალური ყველაკლასობრივი მნიშვნელობა, შეაჩერა თავისი არჩევანი ამ მთავრობაზე იმიტომ, რომ დროებითი მთავრობა არის ამ ჟამად სხვა სხვა საზოგადოებრივ კლასთა და ჯგუფთა ერთად ერთი კავშირი, რომელიც დღეს საკმაოდ შეიარაღებულია საზოგადო განმკარგულებლის და რუსეთის მომწესრიგებლის უზომოდ ძნელი როლის შესასრულებლად.“

დროებითი მთავრობა სრულიად რუსეთის მასშტაბის მიხედვით ერთად ერთი პასუხის მგებელი ცენტრია. მაგრამ ქვეყნისა და დემოკრატიის წინაშე ამ პასუხისმგებელ ცენტრს მხოლოდ ერთის პირობით შეუძლია შეასრულოს თავისი მძიმე მოვალეობა. იგი შესძლებს თვის მოვალეობა დონეზე დარჩეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციის მომხრე ყველა ელემენტი მის გარშემო შექუჩდება, თუ ეს ელემენტები თავისი მიზან შესაბამი და მოწესრიგებული თვითმოქმედებით დახმარებას გაუწევენ მას იმ შეგნებით, რომ რევოლიუციის გამარჯვებისათვის პასუხისგება მთავრობასთან ერთად ქვეყნის შეკავშირებულ ელემენტებსაც ეკისრება, რომ ყველა ეს ელემენტი მთავრობასთან ერთად ისტორიის მსჯავრს ექვემდებარება, რომ ისინი მოვალენი არიან დაეხმარონ მას, სანამ მთავრობა სინდისიერად და შეძლებისდაგვარად ასრულებს დაკისრებულ სამუშაოთა პროგრამას.“

საბოლაო დასკვნა—საჭიროა ყოველ მხრივ ხელი შეეწყოს არსებულ დროებით მთავრობას.

სულ სხვა აზრის არის დროებითი მთავრობის შესახებ მოსკოველ ბოლშევიკების ორგანო „სოციალდემოკრატი“, რომლის აზრით დროებითი მთავრობა უკვე კონტრ-რევოლიუციის მომზადებას შესდგომია. ასეთ მომზადებას მოწმობს გაზეთის სიტყვით დროებითი მთავრობის სამხედრო ბანაში მისვლა და გენერალ ალექსეევის მთავარ-სარდლად დანიშვნა. მეტად აღელვებულია გაზეთი იმ ამბით ვითომ „გენერალი ალექსეევი ჩასწვდა ხალხის სურვილს და დროებით მთავრობასთან საერთო მოქმედების ხაზი ამით გამონახულია. გაზეთი ამბობს:

„და ხალხის თავისუფლების ამ ცნობილ ჯალათს კისერზე ეხვევიან ბ. ბ. კერენსკები, მილიუკოვები და გუჩკოვები. მასთან ხალხისაგან საიდუმლოთ რაღაც ხელშეკრულებას სდებენ. მეფის მთავრობის ამ ნაცად მოსამსახურეებთან დროებითი მთავრობა ეს პოულობს „ხაზს საერთო მოქმედებისას“ რა ხაზია ეს, ბატონებო? რა საერთო მოქმედების შესახებ ეკვრით ფარული პირობით ხალხის ერის უბოროტეს მტერთაგანს. ის ჩასწვდა „ხალხის სურვილსაც“ ამბობთ თქვენ. სიცრუეა. არა ხალხის სურვილებზე თათბირობდით თქვენ ფარულად. თქვენ მას თქვენს სურვილებს უცხადებდით. თქვენ ჰპოვეთ გენერალ ალექსეევთან „საერთო მოქმედების ხაზი“

ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ დაარწმუნეთ ის ძველი რეჟიმის მოსამსახურეთა ინტერესები თქვენს ინტერესებთან შეთანხმების შესაძლებლობაში. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეეკარით მას პირობით დემოკრატიისა და მის მიერ მოპოებულ თავისუფლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის შესახებ.“

დასასრულ წერილის ავტორი მოითხოვს„ გადაყენებულ მეფის ყველა მოსამსახურის“ დათხოვას. კერძოთ გენ. ალექსეევის დაუყოვნებლივ გადაყენებასა და შეპყრობას.

თფილისის მუშათა საბჭოს.

მარტის 31 „საქართველოს“ რედაქციამ მიიღო თბილისის მუშათა საბჭოს, **194** №-ით მოწერილობა. მუშათა საბჭო აღნიშნავს, რომ მისი ყურადღება მიუქცევია „საქართველოს“ ფურცლებზე მოთავსებულს ვითომც და მუშათა საბჭოს წინააღმდეგ მიმართულ წერილებს და განსაკუთრებით გაზეთის **№69** მოთავსებულ წერილს, სადაც გამოთქმული იყო შიში, რომ ვაი თუ მუშათა საბჭოს წარმომადგენელთა მოღვაწეობით სოფლად განმეორდეს **1905—1906** წლის რბევა, ერთ-ერთი ბრძოლა და უთანხმოება. მუშათა საბჭო დაასკვნის: „აღვნიშნავთ რა პრესაში ასეთ გამოსვლის პროვოკაციულ ხასიათს, რომელიც გარდა იმისა, რომ ბოროტი ცილისწამებაა, საზოგადოების ერთი ნაწილის ახალ რევოლიუციონურ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრების აშკარა სურვილს გამოხატავს, მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აფრთხილებს რედაქციას, რომ უკეთუ მომავალში „საქართველოში“ ასეთი წერილი დაიბეჭდა, მუშათა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამის გამო ყოველგვარ ზომებს მიიღებს გაზეთის წინააღმდეგ და გაზეთსაც კი დაუხურავს“.

სანამ ამ მოწერილობას ღირსეულ ანგარიშს გაუწევდეთ, რედაქციისთვის საჭიროა იცოდეს:

ა) ვინ არის მთავრობა ამ ჟამად ჩვენში, ამიერ-კავკასიის კომიტეტი თუ მუშათა საბჭო?! ვის უნდა ვემორჩილებოდეთ?

ბ) შესაძლებელია თუ არა—ერთი და იგივე დაწესებულება, მუშათა საბჭო —ერთ და იმავ დროს, იყოს: მომჩივანი, მოპასუხე, მსაჯული და განაჩენის აღმასრულებელი?!

ამ კითხვების გამორკვევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ყველა იმათთვის, ვისაც სწამს უფლება, სამართალი და ვინც ნამდვილი თავისუფლების დამყარებას ესწრაფვის. („საქ.“)

მსოფლიო ომი.

მთავარ ბანაკის ცნობა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 3 აპრილი. ბროდის ჩრდილო დასავ. 20 ვერსის მანძილზე მდ. სტიროზე სოფ. ისოვოსთან ჩვენმა მზვერავებმა ხიდი ააფეთქეს. გალიციაში რამდენიმე ალაგას მოწინააღმდეგის ჯარი ჯგუფ ჯგუფად ბაირაღებით ხელში ჩვენ პოზიციებს უახლოვდებოდა, მაგრამ ავუტეხავდით თუ არა სროლას მაშინვე თავის თხრილებში ბრუნდებოდნენ. დანარჩენ ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

რუმინეთის ასპარეზი

ქ. ბატოშუს მიდამოებში საარტილერიო მომზადების შემდეგ მტერმა ჩვენს პოზიციებს შემოუტია, მაგრამ სროლით უკუვაქციეთ. ბრძოლის პირის სხვა ნაწილებში სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

შავი ზღვა.

ბოსფორთან ჩვენმა წყალქვეშამ ჩაღუპა ოსმალთა მატორიანი ნავი და 2 დატვირთული შხუნა.

მფრინავთა მოქმედება.

პრაპორ. პაშჩენკომ ძირს ჩამოაგდო გერმანელთა საფრენი, რომელიც ფოკშანთან ჩამოვარდა მტრის ხაზზე.

მაკედონიის ასპარეზი.

პარიზი. 2 აპრილი. მონასტრის დასავლეთით ტირნოვის ახლო მოწინააღმდეგის შემოტევა გამარჯვებით დაგვირგვინდა. მდ. უარდარსა და პრესპას ტბას შუა საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. მოწინააღმდეგე ყუმბარებს უშენდა ქ. მონასტირს, სადაც 17 სახლი დაინგრა. კორიცის დასავ. ავსტრიელთა დახმარებით ალბანელებმა შემოგვიტიეს, მაგრამ მოვიგერიეთ.

პარიზი. 2 აპრილი. გუშინ მდ. წრნის მოსახვევსა პრესპას ტბის შუა მოწინააღმდეგის არტილერიამ მოქმედება გააძლიერა. წუხელ მოშხამული გაზით გატენილ ყუმბარების გამოსვრის შემდეგ მტერმა „1050“ მაღლობზე იტალიელებს შემოუტიეს, მაგრამ სროლით იქნა მოგერიებული. ალბანელთა თავდასხმა მოვიგერიეთ. ჩვენი და იტალიელთა მფრინავები ყუმბარებს უშენდნენ მტრის საწყობებსა და ანგარებს.

დასავლეთის ასპარეზი.

ლონდონი. 3 აპრილი. გუშინ სენქაიტის ჩრდილო აღმოსავლეთით წინ წავიწიეთ და რამოდენიმე ტყვე ვიგდეთ ხელთ. წინ წავიწიეთ აგრეთვე არრანკურის ტყისა და ლიევანნის მიდამოებში; აქ ჩვენი ჯარი ქ. ლანსის განაპირა უბნებს უახლოვდება. ბაკომ-კამბრეს შარა გზაზე ბრძოლის დროს გერმანელები ძალ-ან დაზარალდნენ: მოუკალით 300; და ამას გარდა ბრძოლის ველზე დავატოვებიეთ კიდევ 1500 მკვდარი. ჩვენი მფრინავები მარჯვედ მოქმედებდნენ. ჰაერში ბრძოლის დროს გერმანელთა 4 საფრ. ძირს ჩამოვაგდეთ, ხოლო 11 ვაიძულეთ დაბლა დაშვებულიყო. ჩვენ გვაკლია 10 საფრენი.

ზავის ნიშნები.

სტოკჰოლმი. 2 აპრილი. „ფოსიშე ცაიტუნგს“ ვენიდან ატყობინებენ: ხუთშაბათს ავსტრიელი სოციალისტთა ბელადები: ადლერი, რენნერი და ცვეისსი საგარეო მინისტრ ჩერნინთან სამი საათის თათბირის შემდეგ გაემართნენ ბერლინისაკენ საიდანაც შეიდებანთან ერთად კოპენჰაგენში წავლენ.

ლონდონი. 2 აპრილი. საღამოს ოფიციალი. გუშინ დილით ავიღეთ ქ. ლიევენი, სადაც საკმაოდ დიდი ძალი სამხედრო მასალა ვიგდეთ ხელთ. შუადღეზე ავიღეთ ქ. ლიაზი. მთელ ხაზზე ლოოსის სამხრეთიდან დაწყებული მდ. სკარპის ნაპირებამდე ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და ვიმის ქედს აღმოსავლეთით 3—4 მილით გადასცილდა მდ. სკარპის სამხრ. ცვალებადი შედეგის ბრძოლები სწარმოებდა. ვპეტის სამხ. აღმ. ჩვენ წინ წავიწიეთ და სენკანტენს რამდენიმე ასი ადლით დაუახლოვდით. ავიღეთ სოფ. გრანკური, სადაც მტერი დიდათ დაზარალდა. წუხელ ჩვენი მფრინავები მარჯვედ უშენდნენ მტრის სადგურებსა და საწყობებს. გერმანელთა ხაზზე ჩვენმა მფრინავებმა 4 აპარატი ძირს ჩამოაგდეს 6—აიძულეს დაბლა დაშვებულიყო. ინგლისელთა **11** საფრენი უკან არ დაბრუნებულა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რომანოვის კაპიტალი.

მუშათა საბჭომ და სალდათთა დეპუტატებმა აზრი გამოსთქვა, რომ ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვის კაპიტალი გადაცემული იყოს ჯარში გაწვეულთა ოჯახებისა და ინვალიდების სასარგებლოთ.

როსტოვი-დონზე. ნახიჩევანში ადგილობრივმა ბრბომ ჩამოანგრია ეკატერინე მეორეს ძეგლი.

ზოგი ამ საქციელს ხულიგანობას უწოდებდა და ზოგი კი სამართლიან აღშფოთებას რომანოვთა სახლეულობის მიმართ.

ყოფილი მიტროპოლიტი პიტირიმი.

ყოფილი მიტროპოლიტი პიტირიმი უკვე ჩამოვიდა და დასახლდა ფშავეთის მონასტერში ბეშტაუს მთის ძირას.

გარემიკინი და ახალი მთავრობა.

პეტროპავლოვის ციხიდან განთავისუფლებულმა გარემიკინმა ციხის ადმინისტრაციის განუცხადა, რომ გენერალ-პროკურორის თავდაჯერილმა მოპყრობამ გამოიწვია მასში წაუხოცელი შთაბეჭდილება რომლის გამო ის, თავს მოვალეთ რიცხავს მხარი დაუჭიროს ახალ მთავრობას.

მოწერილი ამბები

ქ. გუმბრი. 24 მარტს აქ ჩამოვიდა კავკასიის კომისარი ხარლამოვი. საზოგადოება დიდის აღფრთოვანებით შეხვდა. ბ. ხარლამოვმა დაათვალიერა ადგილობრივი სიმაგრე და აურაცხელი ხალხის თანადასწრებით წარმოსთქვა მომენტის შესაფერი სიტყვა.

—ნიკანდრი ასათიანმა ადგილობრივ ქართვ.-შორის წერ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილების გამგეობაში მოხსენება წარადგინა, რომელსაც წინადადებას აძლევს, რომ ამ დღეებში მოწვეული იქნას ქართველი საზოგადოების კრება. ბ. ასათიანის აზრით ამ კრებამ უნდა აირჩიოს კომიტეტი, რომლის მიზანიც უნდა იქნეს:- 1) გათვითცნობიერება და ეროვნული გრძნობათა გაღვივება ადგილობრივ ქართველ საზოგადოებაში. 2) გრძნობის გამოცხადება და მატერიალური დახმარება იმ ქართულ ორგანოებს, რომელნიც იღწვიან ქართველის საკეთილდღეოთ და შინაგანი ავტონომიის მოსაპოებლად და სხვა.

—აქ ძველი ადმინისტრაცია გადააყენეს მათ ნაცვლათ წესიერებას იცავენ ჯარის კაცები.

კორექტურული შეცდომის გასწორება.

ბ-ნ **ინხანას** წერილში„ ჩვენც შევიგნოთ, სააღდგომა ნომერში რომ დაიბეჭდა, შემდეგი სამწუხარო კორექტურული შეცდომები გაგვეპარა.

1. იქ სწერია: „ვინც სავსებით გაამართლებს მის დროშაზე დაწერილ ლოზუნგს: „გაუმარჯოს ერების დათრგუნვილ უფლებათა აღდგენას“ო, მისკენ იქნება ჩვენი და მთელი კაცობრიობისაცა.“ **უნდა იყოს:** „მისკენ იქნება ჩვენი სიმპატიაც და მთელი კაცობრიობისაცა“ და სხვა.

2. ცოტა ქვეით სწერია: „არ დავიჯერებ, თითქოს რომელიმე ქართველს სურდეს თვისი სამშობლოს აყვავება და და განთავისუფლება.“ უნდა ეწეროს: „არ დავიჯერებ, თითქოს რომელიმე ქართველს არ სურდეს“ და სხვა.

3. წერილის დაბოლოვების წინ სწერია: „მიძინებულ‘ აწ თითქმის გამოღვიძებულ გრძნობებს კვლავაც არ დაასამარებს.“ უნდა იყოს... „მიძინებულ აწ უკვე გამოღვიძებულ“ და სხ. იმავე სააღდგომო ნომრის მეოთხე გვერდზე წერილში ქართველი ისრაელების შესახებ სწერია: „მეტად სასიცოცხლო და მისასალმებელია ასეთი მოვლენა ისრაელ ქართველთა შორის“ უნდა იყოს: „მეტად სასიხარულო და“ სხვა. იქვე ქვეით სწერია: ჩაუხრჩოს ვულში წყეული სინდისის მიერ ნაკარნახევი აზრები“ უნდა ეწეროს: ჩაუხრჩოს გულში წრფელი სინიდისის“ და სხვა.

სააღდგომო საუბარი.

ვიყვარებდეთ ურთი ერთ არს,
რათა ერთობით აღვიარებდეთ.

ძვირფასო მკითხველო, არაოდეს ასეთი აღდგომა არ მომილოცავს შენთვის, როგორსაც დღეს გილოცავ:

წინეთ მარტოდ მარტო ქრისტეს აღდგომას გახარებდი ხოლმე, დღეს კი დიდი ვეებერთელა სახელმწიფოს, რუსეთის განახლებასთან ერთად ჩვენი საყვარელი და მშვენიერი საქართველოს მკვდრეთით აღდგომა უნდა მოგილოცო.

სწორედ დღეს აგვისრულდა ჩვენი დიდებული პოეტის—აკაკის წინასწარმეტყველება საქართველოზე:

„არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს;
ვინც შენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დაამიწებს.“

და აჰა, ვინც ჩვენ, ქართველთა თავისუფლება დაამიწა და სამარეში ჩააწვინა, იგი დღეს მგლოვიარეთა ზის; სხვისი მესაფლავე თვით მესაფლავეებს მოელის და სულიერად დამარხული ყოველ წამს ხორციელად დამარხვის მოლოდინშია.

როცა ჩვენ გვესამარებდა, იგი მხიარულებას განიცდიდა, როცა იგი სასიკვდილო კვნესაშია, ჩვენც საზეიმოთ უნდა ვიხარებდეთ.

დიახ, ჩვენი, გრძნობა არა ჩვეულებრივ საზეიმო გუნებაზეა და ამიტომ ოცი საუკუნის განმავლობაში დაკანონებული და ჩვეულებრივი „ქრისტე აღსდგა“ დღეს ასე უნდა შევცვალოთ: „საქართველო აღსდგა მკვდრეთით“ და შენც, მკითხველო, ვიცი, დიდი აღტაცებით მიპასუხებ: „ჭეშმარიტად“, „ჭეშმარიტადო“.

მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რამდენი მტერი აღმოუჩნდა ქრისტეს აღდგომის მორწმუნეებს: მღვდელმთავრები, მწიგნობრები და ფარისევლები ყოველ ღონესა ხმარობდნენ, რომ აღდგომის მნიშვნელობა გაექარწყლებიათ.

თვით ბრბოსა და ტვირთმძიმეთ, რომელთათვისაც მაცხოვარი იღწვოდა, კეისრისა და რომაელების სახელით აშინებდენ, არამც და არამც მაცხოვრის აღდგომა არ ირწმუნოთო: დარაჯებიც კი მოისყიდეს თვალით ნახული სასწაულის უარ საყოფელად.

ქრისტიანობას საშინელი ხიფათი მოელოდა, მაგრამ ერთმა მუჭა ქრისტიანეთა კრებულმა, მაცხოვრის მცნების მიხედვით, საშინელს ერიშს, ეს ლოზუნგი დაუპირდაპირა: ვიყვარებოდეთ ურთი ერთ არს, რათა ერთობით აღვიარებდეთო. და სწორეთ ამ ლოზუნგის მეოხებით და ძლიერებით ქრისტიანობამ ლელო გაიტანა: მთელ ქვეყნიერებაზე წარმართობა დაამხო და თვით გაბატონდა.

ეს ნაცადი ქვეყანაზე და კაცთა შორის მშვიდობისა დამამყარებელი ლოზუნგი მუდამ ნაყოფიერია და ისეთ დროისათვის გამოსადეგი, როგორშიაც ჩვენ ვიმყოფებით. სწორეთ ახლა, ამ საბედისწერო ჟამს უნდა შევიყვაროთ ერთმანეთი რათა ერთობით აღვიაროთ და ვიწამოთ საქართველოს მკვდრეთით აღდგომა.

მაგრამ რას იზამ, რომ უბედურ დღეზე გაჩენილ ქართველ ერს, როგორც წინეთ, ისე ახლა გათიშვისა და უთანხმოების იდეოლოგები უფრო ბევრი უჩნდება, ვიდრე საერთო სიყვარულისა და აღსარებისა.

ამიტომ ვაი და ვაი, თუ რა ინსტიქტების გამოც ქართველობამ წარსულში დაჰკარგა თავისუფლება, სწორეთ იმავე ინსტიქტების წყალობით მკვდრეთით აღდგომილი საქართველო ჩვენივე ხელით ჩავაწვინოთ კუბოში.

აი, რატომ მომდის ეს წყეული ფიქრი ასეთი აღფრთოვანების დროს: კი გაგგონება, მკითხველო, რომ ქართველებს აკლდათ ერთპირობისა და ერთობის უნარი, საზოგადოებრივი სიყვარულისადმი მიდრეკილება სუსტად იყო მათში ფეხმოდგმული, ცრუ თავმოყვარეობა და პატივ მოყვარეობა ახასიათებდა ჩვენი ხალხის მეთაურებს.

კახეთი ქართლს ებრძოდა, ქართლი — იმერეთს, გურია—სამეგრელოს და ეგ უკანასკნელნიც კიდევ იმერეთს.

ასეთი საურთიერთო ბრძოლის მეოხებით ყველანი სუსტდებოდენ, იქანცებოდენ და ხან ერთი მტრის ხელში ვარდებოდენ, ხან მეორისაში და ბოლოს ისეთი მტრის ბჭყალებში მოიპოვეს, რომ ას ჩვიდმეტწელიწადს ყველანი ერთად განმანადგურებელ ტაფაში იხრაკებოდენ.

ვინ იყო ამ საურთიერთო ბრძოლის თავის ამჩენი? გურულები თუ მეგრელები? კახელები, ქართლელები, თუ იმერლები? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე! მაშ ვინ, ვინ—და მათი მთავრები და მეფეები.

ამათი წყალობით საუკუნოთა განმავლობაში შეუმუშავდა ხალხს სული კერძოობისა, სული გათიშვისა, სული ცრუ თავმოყვარეობისა და პატივ-მოყვარეობისა. ამან წაუხდინა ხასიათი ბნელს ერს და ხომ ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული, რომ ერის სული და ხასიათი მისი ბედის გამჭედიაო. და ეგ ბედის მჭედველი სული და ხასიათი სწორეთ მაშინ იჩენს თავს, როცა ერს ან დიდი უბედურება დაატყდება თავს, ან დიდი ბედნიერება მიადგება კარს.

აი, დღეს დიდი ბედნიერება მოგვადგა კარს: განახლებული რუსეთის მთავრობა გვეუბნება: ყოველმა ხალხმა შესაფერი და თვისი ნორმალური ცხოვრების დამაკმაყოფილებელი თავისი უფლება მიიღოსო.

და ამ დროს გამოჩნდენ ისეთი ჯურის ქართველნი, რომელნიც უმტკიცებენ ჩვენი ერის უმბრო ნაწილს: რათ გინდა ეგ თავისუფლება რაღაც ავტონომიის სახელით რომ მიიღოთ, ეგ ძველ ბატონყმობის დაბრუნებას ნიშნავს, ეგ რუსეთთან კავშირის გაწყვეტა იქნება და რუსეთს თუ ჩამოვშორდით, თათრები ამოგვწყვეტენ და მერმე ბატონ-ყმობაც დაბრუნდებაო.

ჩამოიარე მთელი ჩვენებური სოფლის გლეხობა და ყველასგან ამას გაიგონებ, ამასვე გეტყვის ქალაქის დაგებილი წვრილფეხა ბიჭები ვფიქრობ და ვერ მივხვედრივარ ვინ უგინა ამ ადამიანებს ასე ეგ უბედურ მთვარეზე დაბადებული ავტონომია!

მართალი მოგახსენო, აწ მკვდრეთით აღდგომილი საქართველო მდგომარეობა ამ ყბად აღებული ავტონომიის გამო ისეთსავე მდგომარეობაშია როგორიც ლამაზი გასათხოვარი ქალი, რომელსაც გადამტერებული მეზობლის ავ-დედაკაცები ქორწინების ჩასაჩხუბავათ ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახიან: ეგ ჩვენი სოფლის სადედოფლო კოჭლია, ბრუციანია, ავი ზნეც სჭირს და ძილში საშინლად ხროტინობსო და სხვა და სხვა.

თორემ, აბა შენი ჭირიმე, რაღა საკითხია, რომ საქართველომ პოლიტიკური ავტონომია მიიღოს თავის ხელშეუხებელ ტერიტორიაზე?

ნეტამც ერთი ერი დარჩენილიყოს რუსეთში, რომ ამას არ თხოულობდეს თავისათვის!

პოლონელები, ლიტველები, მალოროსები, სომხები, თათრები, ლატიშები, (ფინლიანდიამ უკვე მიიღო) ყველანი ერთგულობით და ერთპირად, განურჩევლად პარტიობისა, ავტონომიასა თხოულობენ. ჩვენში კი ამ უბრალო და მარტივმა საკითხმა მოსისხარ მტრებად გადაგვკიდა ერთმანეთს და ისეთი მუქარით მივდივართ ერთმანეთზე თითქო ერთი ბატონი და ჯალათი იყოს, მეორე ყურ მოჭრილი ყმა პირველისა,

როცა ძველი მთავრობა მაჯლაჯუნასავით გვახრჩობდა, ყოველი ქართველისათვის სანატრელი სიტყვის თავისუფლება იყო. ამ მაჯლაჯუნასაგან თავი ავიშვით და მის მაგიერად, რომ მუცელში ჩავარდნილი ენა ამოგვეღო, ზოგიერთები ენაზე კლიტეს გვადებენ. სიტყვის თავისუფლებისათვის ვიბრძოდით და ეგ თავისუფლება მხოლოდ ზოგიერთებისათვის არსებობს; ბატონ-ყმობის ნასახი ყველგან გაჰქრა, მაგრამ ახლა, ვინც პატარა მალამო მოიგდო ხელში, რიცხვის ფილოსოფიას აწარმოებს, დიდი იმედი აქვს და ბატონობა მოინდომა. ვინ არის ამაში დამნაშავე? ერი, თუ ერის მოძღვარნი—ამას მკითხველიც გაარჩევს და ისტორია ხომ შესაფერს პასუხს გასცემს, თუ არ შეიბრალა და არ დაივიწყა.

საკვირველია საოცარი, როცა პირტიტველა ბიჭები გაიძახიან რევოლიუცია ჩვენ მოვახდინეთო ჩვენ ვართ რაცა ვართ. ასეთი ყოყოჩინობა მათ კიდევ მიეტევებათ, მაგრამ ამასვე რომ გაიძახის ისეთი მოხელე, გინდა მასწავლებელი და ვექილი, რომლის რევოლიუციონერობა მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ პარტიაში ჩაწერილა, სწორეთ გასაოცარია.

ნუ თუ ამათ მაინც არ უნდა ჰქონდეთ გაგონილი, რომ თვით დანტონზე, მარტზე და რობესპიერზე უდიდესი და უწარჩინებულესი რევოლიუციონერები ვოლტერი, რუსო, მონტესკიე და მათი თანამზრახი იყვნენ!! საქმე ისაა, რომ აზროვნება, იდეა შექმნა სარევოლიუციო და არა ის, რომ მხოლოდ დროშა დაიჭირო, ან ხელჯოხინის როლში გამოხვიდე.

თუ რევოლიუციის გაღრმავება გვინდა და თან ჩვენ ქვეყნის შველაცა პირველ ლოზუნგათ ერთმანეთის სიყვარული დავისახოთ და მეთაურებად პოლიტიკური სიბრძნით აღჭურვილი კაცები წამოვაყენოთ. უკეთესს ვერას გირჩევთ.

თქვენი ძველი **მეგობარი***)

---

*) ეს წერილი სააღდგომო ნომერში უნდა გასულიყო, მაგრამ უადგილობის გამო გადაიდვა.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანი გულისწყრომა.

(რუსული პრესა)

ცნობილი ნ. დურნოვი „პეტროგრადსკია ვედომოსტ“-ში ათავსებს წერილებს „ძალა და უფლება სახელმწიფოებრივ ცხოვრების სათაურით.

გულის წყრომით აღნიშნავს ცნობილი საეკლესიო მოღვაწე იმ აღმაშფოთებელ მოვლენებს, რასაც ადგილი ქონდა რუსის სახელმწიფოს დამოკიდებულებაში ერთმორწმუნე ერთა მიმართ.

რუსები—მისი აზრით განსაკუთრებულად პირშავად დარჩენ ბერძნებთან. არ იკმარეს ის ბოროტმოქმედება, რომლითაც ბერძნებით დასახლებულ ადგილებს იტალიელებს აძლევდენ კონსტანტინოპოლის სანაცვლოდ. მუდამ ხელებს იშვერდენ კონსტანტინოპოლისაკენ რაზედაც რუსებს არავითარი უფლება არა ჰქონდათ. ჩვენ იმდენი უკანონობა გვაქვს ჩადენილი სასულიერო საქმეებში, რომ ჩვენი უკანონო ფათურის გამო წუთის რისხვა მოვივლინეთო. ამიტომ ერთობა საშინლად ილაშქრეს დამპყრობელი პოლიტიკის წინააღმდეგ და წერილის პირველ ნაწილში აშკარად ამბობს:

„კმარაჰ ანექსიები, თავი დავანებოთ თავისუფლების მოყვარულ და კულტურულ ხალხთა ცხოვრებაზე ბოროტ მოქმედობას. რუსეთის გალიციის რუსებით დასახლებულ კარპატის იქეთა რუსეთის და ჩრდილო ბუკოვინის დაბრუნებით დავასრულოთ რუსეთის მიწების შეკრება. ევროპაში ჩვენ მეტი არაფერი გვინდა. ხოლო აზიაში საკმარისია სომეხთა ერის განთავისუფლება დიდ სომხეთში და ავტონომიურ საქართველოსათვის ქართველებით დასახლებულ ლაზისტანის შემოერთება“-ო.

რუსეთი.

მეფის ოჯახის საიდუმლოებანი.

1916 წელს ეგვიპტეში რუსეთის გვარდიის ულამაზესმა ახალგ. გენ. ორლოვმა თავი მოიკლა. რუსეთის ოფიციალმა წყაროებმა ეს იმით ახსნეს, ვითომც ორლოვს ნერვები ჰქონიყო აშლილი მას შემდეგ რაც იგი ბალტიის მხარის აკლება—დაწყნარებიდან დაბრუნდა.

ნამდვილად კი საქმის გარემოება ასე იყო.

დედოფლის სეფე-ქალი ტანეევისა (შემდეგ ვირუბოვისა) ორლოვზე იყო დანიშნული, მაგრამ მოულოდნელად თავის საცოლესაგან ორლოვმა პირი იბრუნა. იგი შენიშნა დედოფალმა და დაახლოვა და მალე მათ შორის შინაურული განწყობილება დამყარდა. იაპონიის ომის დროს ამ სიახლოვემ მთელი მაღალი წრეები აალაპარაკა და ყველამ შენიშნა, რომ ორლოვი ინტიმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა დედოფალთან. ბოლოს ორლოვს ოფიციალურად წინადადება მისცეს რუსეთი დაეტოვებია. რამოდენიმე ხანს იგი გერმანეთის იმპერატორთან სცხოვრობდა კუნძ. კორფუზე, შემდეგ გადასახლდა ეგვიპტეში, სადაც მოულოდნელად სიკვდილმა უსწრო მას. თვითონ მოიკლა მან თავი თუ არა ეს გამოაშკარავებული არ არის.

ქადაგება ომის წინააღმდეგ რუსეთში.

პეტროგრადის სოც. დემოკრ. ბოლშევიკურ ჯგუფს დაუდგენია გამოსცეს ბროშიურა შემდეგის სათაურით „ვისთვისაა სასარგებლო ომი“. ბოლშევიკებს აზრად აქვთ 200000 ცალი დაბეჭდონ ეს ბროშიურა და მთელ რუსეთში გაავრცელონ. ამას გარდა ხსენებულ ჯგუფს სხვა ზომებიც მიუღია, რომ ხალხმა შეიგნოს ომის მავნებლობა და ზავი მოითხოვოს დამფუძნებელ კრებაზე.

რუსეთის რევოლიუცია და ინგლისი.

ინგლისურმა გაზ. „მანჩეს. გარდ.“ გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ თუ რა ღონისძიება იხმარა ინგლისის მთავრობამ, რომ ნიკოლოზ 2-ისა და რუსეთის ხალხის უთანხმოება მორიგებით გათავებულიყო ინგლისის მთავრობას დაწვრილებით სცოდნია რუსეთის შინაური უბადრუკი ცხოვრება და ლორდ მილნერი გამოუგზავნია რუსეთში, რომ მას როგორმე რევოლიუცია თავიდან აეცილებია რუსეთისათვის. მილნერს ათასჯერ უთხოვია მეფისათვის, რომ მას სათათბიროს წინაშე პასუხის მგებელი სამინისტრო დაენიშნა, მაგრამ სულ უქმად ნიკოლოზი იმასაც ვერ ბედავდა, რომ სამინისტროს სათავეში საზონოვი დაენიშნა და მუდამ იმას იძახდა თურმე რომ რუსის ხალხი ჯერ არ არის მომწიფებული რეფორმებისათვისაო. შემდეგ ლორდ მილნერს პარტიათა ლიდერებთან გაუმართავს ლაპარაკი, მაგრამ ისინიც ვერ დაუთანხმებია, რომ მათ ხელი აეღოთ რევოლიუციის მომზადებაზე.

არმიისა და გვარდიის გათანასწორება.

სამხედრო მინისტს გუჩკოვს განკარგულება მიუცია მთავარ-შტაბის უფროსისათვის შეიმუშაოს პროექტი, რომლის ძალით მოსპობილი იქნება ყველა ის უპირატესობანი, რომლითაც აქნობამდე არმია სარგებლობდა.

ჯამაგირები ყოფილ მიტროპოლიტ.

ყოფილ მიტროპოლიტებს მაკარისა და პიტირიმს წელიწადში საზრდოთ 60000 მან. დაუნიშნა ახალმა მთავრობამ თითოს.

„მომრიგებელი კომისიები“

რადგანაც სტამბებში მომუშავეებს გაზეთის გამომცემლებისათვის სხვა და სხვაგვარი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ და ამიტომ გაზეთის გამოცემა ძნელდება, გაზეთების გამომცემელთა საზოგადოებამ დაადგინა: მზექდავ მუშათა და ცენტრალურ საბჭოს ეთხოვოს, რათა მან დაარსოს შესათანხმებელი კომისიები რომელთაც დავალებული ექნება მუშათა მორიგება.

საპროვოკაციო ფურცლები.

პეტროგრადში აღმოუჩენიათ აუარებელი საპროვოკაციო ფურცლები რომლებშიც ხალხს მოუწოდებენ აღადგინონ ძველი წესწყობილება.

20000 პოლიტ. დამნაშავე.

ციმბირში ამ ჟამად 20 ათასი განთავისუფლებული პოლიტ. დამნაშავე კიდევ ყოფილა რომელთაგანაც უსახსრობის გამო დღეში მხოლოდ 70 კაკ გზავნიან.

რომანოვთა ხსენ`ის აღმოფხვრა.

როსტოვის კომიტეტს დაუდგენია მოსპოს ქალაქში ეკატერინე მე-2 ძეგლი და სთხოვოს ახალ მთავრობას, რათა მან ნება დართოს, რომ ქუჩებში ყველაფერი, რაც კი რომანოვთა გვარის მომგონებელია, მოსპონ, ძეგლი იქნება ის თუ ქანდაკება, სურათი თუ სხვა რამ.

როდის იქნება მოწვეული დამფუძნებელი კომიტეტი

მუშათა დეპუტატების საბჭოს აურჩევია კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კანონპროექტი დამფუძნებელი კომიტეტის შესახებ, უკანასკნელი იქნება ზემოხსენებულ კანონის შემუშავების შემდეგ, რასაც 4 თვე უნდა მოუნდეს. ეს კომისია განიხილავს, თუ რა საკითხები იქნეს განხილული დამფ. კრებაზე.

— იურევის ლატიშთა საზოგადოებამ დაადგინა შეიმუშავოს კურლიანდიის ოლქების მართვა გამგეობის ფორმა.

განათლების სამინისტროში.

განათლების სამინისტრომ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეთ ჯამაგირები მოემატოს.

25000 დეზერტირის დაბრუნება

ჟიტომირის კომენდანტს ერთ კვირის განმავლობაში 25 ათასი გაქცეული ჯარისკაცი გამოცხადებია, რომელნიც ბრძოლის ველზე გაგზავნას ითხოვენ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

დასავლეთ საქართველოს ქართველ მასწავლებელთა კავშირის კრებაზე ბ. ანტონ ოდიშარიამ საზოგადო კრებას მიმართა თხოვნით აერჩია კომისია ვიშნევსკის და მისი მოქმედების გამოსარკვევად და მაზე გავრცელებული უსაფუძვლო ჭორების გასაქარწყლებლად. კრების დადგენილებით კომისია შესდგა 30 მარტს და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა.

„ვინაიდან ანტონ ოდიშარიას წინააღმდეგ არავის არავითარი ბრალდება არ წამოუყენებია დანიშნულ დრომდის, კომისიამ თანახმად საერთო კრების დავალებისა იხელმძღვანელა ოქმშიდ დასახელებულ პირთა ჩვენებით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ანტონ ოდიშარია ყოფილა ვიშნევსკის წინააღმდეგ მებრძოლი პირი და არა მისი დამხმარე და კომაგი. ამიტომ ბ. ოდიშარიას გარშემო გავრცელებულ ჭორებს არავითარი საფუძველი არა აქვს.

კომისიის თავმჯდომარე **გედეონ მეფარიშვილი.**

წევრები) **პ. ჭანიშვილი.**
ჯაჯუ ჯორჯიკია.

30 მარტი 1917 წ.
ქუთაისი.

რედაქტორი **ვასილ წერეთელი**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.	წ.
„	საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40	„
„	ღამის	1 ს.	„
ფოთიდან	დილის	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს. 50	„
მარელისიდან	დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს. —	„
„	ღამის	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	დილის	7 ს.	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 40	„
მარელისისაკენ	დღით	5 ს. 20	„

ქუთ. სადგ.-მამულო ბანკის მიწის მზომელი და ტბილ. სადგ.-მამულო კომისიის მიწის მომწყობი

ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების სალიკვიდაციო და მიწის მოსაწყობ პლანებს. შუამავლობს ქართლ კახეთ-ატხაზეთში მიწების შემძენ-გამყიდველთა შორის. მიწის შემძენ გლეხთა ამხანაგობებს აძლევს შეღავათიან ტეხნიკურ დახმარებას. ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისში: ა) სადგილ-მამულო ბანკში, ბ) პროვიზორ კახიანის აფთიაქის მაღაზიაში, ქალ. თეატრის პირდაპირ, გ) ვ. ს. ასათიანის ბინაზე, ი. ჭიჭინაძის ქ. № 8. სახლი რუხაძისა, ტბილისში სადგილ-მამულო კომისიაში, თფილ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებ. ბინა, ბელინსკის ქ., № 1. ქიათურაში შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. 9 თ.

ავადმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავადმყობთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა**. ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმეშიდაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით, ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი**, როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავადმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავადმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ერთგულესი **ი. ნ. კოლეგოვი.**

ტრუსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

კრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში - როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს სარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „სამშობლოს“ რედაქციის კანტორაში.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ პირველ აპრილიდან

განახლდება

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავადმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავადმყოფებისთვის.

ექიმები:

გ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 8 ტელეფონი № 101.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით. მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის № 15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საამამდე. მასწავლებელი ა. ფ. თელია. 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

ი. ჩარკვიანი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დღით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი
მარიამ ტ. გალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17. 8 თ.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ტ. ფ. ფილოიანისა·

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976). **თხოვნის მიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თუთხმეტ იანვარს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში

„ხელოვნება“-ში

რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ლებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:
ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური,
პორტრეტები, ფაიფურზე, გადიდება პორტრეტებისა, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე. დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და კეთილსინდისიერად,** რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სასახლის ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ს. ღარიბაშვილი.** 2 თ.

განცხადება

ქალაქ ქუთაისში ევგენია კორძაიას ასულის კერძო საპროფესიო ქალთა საშუალო სასწავლებელთან, რომელსაც უფლებები აქვს და კურსიც ქალთა ხუთ კლასიან პროგიმნაზიასთან შეფარდებული, მომდინარე წლის 1 სეკტემბრიდან არსდება უფლებიანი კურსები ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად ამიტომ ამ წლის 20 აგვისტოს დილის 9 საათიდან განსაკუთრებული ნუსხით სწარმოებდეს, იქნება გამოცდა იმ პირთა, რომელთაც ამა თუ იმ კურსზე სურთ შესვლა. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებელ კურსებზე მიიღებიან: ა) ერთი წლით ის პირნი, რომელთაც ექნებათ გავლილი არა უმცირეს სახალხო შკოლების ორკლასიან კურსისა, ან ისეთნი, რომელთაც ხელსაქმე იციან იმ პროგრამით, რაც დადგენილია გიმნაზიების მე7დე კლასებისათვის. ბ) ორი წლით ისინი, რომელნიც) პუნკ. ნახსენებს პირებს დააკმაყოფილებენ, მხოლოდ ხელსაქმე აღნიშნული პროგრამა იციან ამ კურსების კარგათ დასრულების შემდეგ მოწაფე ქალები ლებულობენ დიპლომს, რომელიც უფლებას აძლევს მათ ასწავლონ ხელსაქმე ყველა საქალო სასწავლებლების იმ კლასებში, რომელთა გათავების შესახებ მოწმობაც ექნებათ. ხოლო საპროფესიო განყოფილებაში მიიღება ყველა განუსაზღვრელად.

წლიური გადასახადი 1 სეკტემბრიდან დადგენილია: პროგიმნაზიაში მოსამზადებელ კლასების განყოფილებებში 30 მ. 1, 2, და 4 კლასებში 40 მან. მე 5 კლ.-50 მ. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა კურსებზე-80 მ. საპროფესიო განყოფილებაში 30 მ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება: ოლდენბურგის ქუჩა აბდუშელიშვილის სახლი. ვიწვევთ მასწავლებელ ქალთა და ვაჟთ: ხატვისა, ჰიგიენისა, ხელოსნურ ანგარიშისა, ბარკისცოდნისა, აგრეთვე მოსამზადებელ კლასის და ხელსაქმეს მასწავლებელქალსა.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქ., სახლი გოკიელოვისა